№ 243
სამშაბათი, 7 ნოემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 243
სამშაბათი, 7 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 ნოემბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

სც. პ. სვიმონიძის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა

I

ორი ჯმირი

ისტორ. ტრაგ. 3 მოქ. ვ. გუნიასი (ფ. კოპედგან).

II

აირია მონასტერი

კომედ. ხუმრ. 3 მოქ. გად. თ. სახოკიასა და ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, კუნდელი, სარიძე და სხ.; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება ვ. აბაშიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „ორი ჯიბგირი" და ეფ. მესხის მონაწილეობით „დინიზა", „სუზანა".

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

## ტფილისის სასულიერო სემინარიაში

სწავლა-დამთავრებული

ეძებს შესაფერს ადგილს.

ადრესი ტფილისის სასულიერო სემინარიის შვეიცართან. (2—6.—1)

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 6 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გაუგზავნა ტფილისის ქალაქის მოურავს ქაღალდი, რომელშიაც სთხოვს შუამდგომლობა გაუწიოს ქალაქის გამგეობისა და საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ მომავალ 1901 წლის კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის საუკეთესოდ მოსაწყობად ქალაქმა თვისის მხრით ფულით დახმარება აღმოუჩინოს გამოფენის გამმართველ კომიტეტს.

*** როგორც ამას წინადაც გვქონდა აღნიშნული, ქალაქის გამგეობა კარგა ხანია ზრუნავს, რომ საიდგანმე გამოიყვანონ წყალი ქალაქის მიწების მოსარწყავად. კვირას, 5 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის მდივანი სტ. თ. ჰრელაშვილი და საბჭოს ხმოსანი ბულდანოვი ქალაქის მებაღესთან ერთად ხელ-ახლა გაემგზავრნენ სოფ. ლილოში გამოსაყვან წყაროების დასათვალიერებლად. მათთან ჰყავდათ მცოდნე კაციც, რომელსაც დაუთვალიერებია რა ს. ლილოს წყაროები, განუცხადებია, რომ ამ წყაროებიდგან შეიძლება დღეღამეში ქალაქს ნახევარ მილიონი ვედრა წყალი ეძლიოს, რაიცა საკმაო იქმნება ქალაქის მიწების მოსარწყავად.

*** კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა დასამტკიცებლად პროექტი ამიერ-კავკასიის ბეითალთა ახალის შტატისა. პროექტით, კავკასიის საბეითალო ნაწილში სულ 488 მოსამსახურე იქნება.

*** როგორც „ახ. მიმ." ქუთაისიდგან ატყობინებენ, ქუთაისის გუბერნიაში ახალი საადგილ-მამულო გადასახადი სულ 532 ათასი მან. შემდგარა. საკომლო გარდასახადი მთელს გუბერნიაში ერთმეოდა 902 მანეთი. ამრიგად, ძველის საკომლოს ნაცვლად ახალის საადგილ-მამულო გარდასახადის შემოღების წყალობით მცხოვრებთ თითქმის ორჯელ ნაკლების გაღება მოუხდებათ.

*** ამ დღეებში სენატმა განმარტა, რომ ყოველს ხელოსანს უფლება აქვს სახელოსნო გახსნას და ამისთვის არავითარის ნება-რთვის აღება

## ფელეტონი

### იორის ბრძოლა 7 ნოემბერს 1800 წელს რუსს-ქართველთა ჯარისა ომარ ხანის ლეკთა ლაშქართან.

დღეს, 7 ნოემბერს, სწორედ ასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც მდინარე იორის ნაპირზედ საქართველოსა და რუსეთის შეერთებულ ჯარს ბრძოლა ჰქონდა ავარიის ხან ომარის ურიცხვ ლაშქართან.

შავი და ბნელი დღეები დაუდგა საქართველოს მე-17 საუკუნის მიწურულში. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისაგან ჯერ კიდევ წელში არ გასწორებულ საქართველოს, უბედურება-უბედურებაზედ ატყდებოდა და, უიმისოდაც მისუსტებულ ერს, საბოლოოდ ძალა ელდებოდა და ღონე ელეოდა. ყველას ამ დროს აღეძრა მადა: სპარსეთთან და ოსმალეთთან ერთად საქართველოს გაწეწვა და რამეს გამორჩენა ლეკებმა და მოსაზღვრე სახანოებმაც მოინდომეს. ამ უბედურებას შინაური უთანხმოებაც ზედ დაერთო. სამეფო საგვარეულოს წევრთა შორის ერთობა არ არსებობდა, ბატონიშვილები ერთმანეთის ჯიბრსა და ჩხუბში ატარებდნენ დროს. ერთი მათგანი გიორგი XII-ს ძმა ალექსანდრე მეფესაც-კი გადაუდგა. ბატონიშვილმა ალექსანდრემ ყაზახის პროვინცია მოითხოვა, ხოლო რადგანაც უარი მიიღო, იგი ჯერ ოსმალეთის საზღვრისაკენ წავიდა, შემდეგ სპარსეთში გაიქცა და, ბოლოს, შეუერთდა მამაც ომარს, ავარიის ხანს, რომელიც მხოლოდ ასეთ მარჯვე შემთხვევას ეძებდა საქართველოში შესასევად და მცხოვრებთა დასარბევად.

სპარსეთი თუმცა დიდი უკმაყოფილო იყო მეფისა რუსეთთან დაკავშირებისათვის, მაგრამ ჯერ იმედს მაინც არა ჰკარგავდა და სცდილობდა საქართველოს დამორჩილებას და თავისს პროვინციად გახდომას. ამ დროს ტფილისში ელჩიც-კი ჩამოვიდა სპარსეთის ახალ შაჰის, აღა-მაჰმად-ხანის მემკვიდრის, ბაბახანისაგან და შაჰის სახელით სრული მორჩილება მოსთხოვა მეფეს. მაგრამ მეფე გიორგი XII-მ უარი უთხრა და გამოუცხადა, რომ საქართველო რუსეთის იმერატორის მფარველობის ქვეშ იმყოფებაო.

ამაზედ წინად ბატონიშვილის ალექსანდრეს მეცადინეობით სპარსეთის ჯარი, აბაზ მირზას მეთაურობით, საქართველოსაკენ გამოემართა, მაგრამ საქმე ბრძოლამდე აღარ მისულა: სპარსეთის ჯარი ერევნის გუბერნიაში შევიდა, გაძარცვა იქ 1800 წელს ეჩმიაძინის მონასტერი, წაიღო იქიდგან 70 ათასი მანათი და უკანვე დაბრუნდა. შეშინებულმა გიორგიმ შემწეობის სათხოვნელად ოსმალეთის სულთანთან ელჩიც-კი გაჰგზავნა, თავადი ორბელიანი. მაგრამ ამ დროს რუსეთიდგან ჩამოვიდა გიორგის შვილი, ბატონიშვილი დავით და ამბავი მოიტანა, რომ იმპერატორი პავლე მფარველობასა და ჯარის მოშველებას დაგვპირდაო. თუმცა ამ დროს ტფილისში უკვე იყო, გენერალის ლაზარევის უფროსობით, მცირე რაზმი რუსეთისა, მეფის ხელ-ახალის თხოვნის შემდეგ, იმპერატორმა უბრძანა ჩრდილოეთ კავკასიიდგან სხვა ჯარიც წასულიყო—ყაბარდიის მუშკატერთა რაზმი არტილერიით და 100 ყაზახი, გენერალ-მაიორის გულიაკოვის უფროსობით. მოზდოკიდგან ეს რაზმი 25 აგვისტოს გამოვიდა, ხოლო ტფილისში 23 დეკემბერს ჩამოვიდა. მეფე, სამეფო გვარეულობის წევრნი, წარჩინებულნი, გენერალი ლაზარევი თავისის ეგერებით და დიდ-ძალი ხალხი ახლად მოსულ რაზმს ტფილისიდგან სამის ვერსას მანძილზედ მიეგებნენ და ყველანი სიხარულს მიეცნენ. ჯარი სწორედ დროზედ ჩამოვიდა, რადგანაც ბატონიშვილმა ალექსანდრემ მას შემდეგ, რაკი შაჰი ვერ დაიყოლია საქართველოში შემოსასევად, მიჰმართა ავარიის ხანს ომარს, რომელიც უკვე მეომრებსა ჰკრეპავდა საქართველოსაკენ წამოსასვლელად.

ომარს დიდი სახელი ჰქონდა დაღესტანში გავარდნილი. იგი ყველგან ცნობილი იყო მოხერხებულ და მამაც მეომრად. ომარის ერთ დაძახებაზედ მთელი დაღესტანი იკრიბებოდა და ემზადებოდა ხოლმე სალაშქროდ.

1800 წლის აგვისტოს ომარი დიდძალის მეომრებით დაეშვა დაღესტანის მთებს, ს. ბელაქანთან დაბანაკდა და იქიდგან სასყიდელი მოითხოვა, წინაალმდეგ შემთხვევაში შემოვესევი კახეთსაო, შემოუთვალა მეფეს. ოქტომბერს ომარ-ხანთან ბატონიშვილი ალექსანდრეც მივიდა, და ორივემ ერთად შეიმუშავეს გეგმა ტფილისზედ თავს დასხმისა ორის მხრიდგან.

ქართველები მაშინვე მზადებას შეუდგნენ, რაწამსაც ომარის ჯარის მოახლოვების ამბავი გავრცელდა. გენერალი ლაზარევი პირველ ხანს არ აპირობდა ჯარის გაგზავნას ლეკების წინაალმდეგ, რადგანაც ჰფიქრობდა, რომ მარტო საქართველოს ჯარი გაუძლვება მტერსაო, მაგრამ როდესაც გიორგიმ სთხოვა, გადასწყვიტა დახმარება. 28 ოქტომბერს ლაზარევი თავისის ჯარით გაემართა ტფილისიდგან სიღნაღისაკენ, სადაც ამ დროს უკვე თავს იყრიდნენ ქართველთა ქვეითა და ცხენოსანი მეომარნი,

საჭირო არ არისო. აქამდის-კი პოლიცია თხოულობდა, რომ სახელოსნოს დასაარსებლად ხელოსანს ქალაქის გამგეობის ნება-რთვა აეღო. ხოლო ვისაც ეს ნება-რთვა არ ექნებოდა აღებული, სისხლის სამართალში აძლევდა პასუხის საგებლად.

*** ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს საფინანსო კომისიისა, რომელზედაც მომავალის 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას განაგრძობენ.

*** რუსული დრამატიული დასი, რომელიც წარმოდგენებს სათავადაზნაურო თეატრში ჰმართავდა, უკვე წავიდა ტფილისიდგან. თეატრის მოიჯარადრე ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას 20 ნოემბრიდგან თეატრი დედინცევის საოპერეტო დასისათვის მიუქირავებია.

*** შაბათს, 4 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ქალაქის გამგეობის შტატის გამფართოვებელ კომისიას სხდომა ჰქონდა გამგეობაში მოსამსახურეთა ჯამაგირის მომატების შესახებ მოსალაპარაკებლად. კომისიის პროექტის თანახმად, გამგეობის მოსამსახურეთ პირველ 5 წლის შესრულების შემდეგ ჯამაგირის 5% უნდა მომატებოდათ, ხოლო მერე, ყოველ ხუთის წლის შემდეგ, 10%; მაგრამ მოსამსახურეთა თხოვნის გამო კომისიამ გადასწყვიტა, პირველ 5 წელიწადში ჯამაგირის 10% მიუმატონ და შემდეგ წლებში 15%. ძველ მოსამსახურეებს-კი გარდაუწყვიტეს ყოველ წლივ ჯამაგირის 1% მიუმატონ. თუ ეს პროექტი დამტკიცდა, გამგეობის მოსამსახურეთა შესანახ ხარჯს თითქმის 20 ათასი მანეთი მოემატება. ხოლო თუ კომისიის მცირე პროექტიც დამტკიცდა, ამაზედ მეტიც მოუნდება.

*** გუშინ წინ, 5 ნოემბერს, ტფილისის სამხედრო საკრებულომ ტფილისის პოლიცმეისტრის თან. აღმასრულებელს გადასცა იმ ახალგაზდათა სია, რომელნიც სამხედრო ბეგარის გადასახდელად არ გამოცხადნენ, და სთხოვა, პოლიციამ მოსძებნოს ეს ახალგაზდანი და 9 ნოემბერს საკრებულოში მოიყვანონ.

*** კავკასიის აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შუამდგომლობით, ტფილისის სახაზინო თეატრის გამგეობას შესაძლებლად უცვნია ამ საზოგადოების წევრებს ნაკლებ ფასად დაუთმოს ხოლმე ბილეთები წარმოდგენებზედ დასასწრებლად. ნაკლებ ფასად იმ წევრებს მიეცემათ, რომელნიც პარტერში იყიდიან ბილეთებს.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსის მოსწავლეებად სამყოფთ 1 ნოემბერს ამ სასწავლებლის დაარსებიდგან 25 წლის შესრულების იუბილეი იდღესასწაულეს. ხელის მოწერით სადილი გამართეს. სადილის დროს გადასწყვიტეს დააარსონ ამხანაგობა კორპუსის იმ მოსწავლეებად ნამყოფთა დასახმარებლად, რომელნიც რამე მიზეზისა გამო სიღარიბეში ჩავცვივდებიან.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობის ხმოსნის მ. ს. შესტაკოვის წინადადება გამგეობაში ეკზეკუტორის თანამდებობის დაარსების შესახებ ქალაქის გამგეობამ მოიწონა. ეკზეკუტორს ჯამაგირად წელიწადში 600 მან. ექნება.

*** გუშინ წინ ქალაქის საბჭოს დარბაზში საკრედიტო საზოგადოების რწმუნებულთა საგანგებო კრება მოხდა. კრებამ დაამტკიცა საზოგადოების გამგეობის მიერ წარმოდგენილი ყველა მოხსენება. „ახ. მიმ."

*** რედაქციამ მიიღო მე-X ნომერი ჟურნალ „ჯეჯილის". შინაარსი ამ ნომრისა: 1) „მერცხალი და ბავშვი", ლექსი შ. მღვიმელისა; 2) „ლიზა", ამბავი ქეთო ზარაფიშვილისა; 3) „ძმურათ გაყოფა", რუსულიდან გ. ახალციხელისა; 4) „მტრედი", ამბავი კ. ფრონისპირელისა; 5) „პატარა გმირი", თარგმანი ან. წ—სა; 6) „ხალხური ლექსი", ჩაწერილი ა. ხაბულიანისაგან; 7) „ხარაბუზა და ჩხართვი", თარგმანი ბ. ვაშაძისა; 8) „მინდვრის თაგვები", ამბავი ან. წ—სა; 9) „ხარისთვის უდიერი", ლექსი ვაჟა-ფშაველასი; 10) „მოულოდნელი კავშირი", სურათი ელ. წერეთლისა; 11) „არდაში და ელიზბარი", თარგმანი ეკ. მესხისა; 12) „კოლბერი", ბიოგრაფია ან. წ—სა; 13) წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, ანაგრამა, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი და სხვა.

*** ტფილისის თვით-მმართველობის შუამდგომლობა, რომ ქალაქის პირველ ნაწილში მტკვარზედ გამართულ ნავით გამსვლელ გამომსვლელთ გარდასახადი გამოერთვათ, ორ-ორი კაპეიკი, ტფილისის გუბერნიის უფროსმა კავკასიის მთავარმართებელს წარუდგინა დასამტკიცებლად.

*** მეტეხის სატუსაღოს საავადმყოფოს შენობის შეკეთება უკვე დაუმთავრებიათ. საავადმყოფოში ამ ჟამად 89 ავადმყოფი წევს.

*** ქალაქ სიღნაღის ვასხები სთხოვენ ტფილისის გუბერნატორის თან. აღმასრულებელს ხორცის ნიხრს მოუმატოს და გირვანქა 6 კაპეიკად გაჰხადოს. თხოვნაში ვასხები ამბობენ, რომ საქონლის ჭირის გაჩენის გამო სიღნაღის მაზრაში საქონელი დაძვირდაო.

*** კვირას, 5 ნოემბერს, დილის 4 საათზედ პოლიციის მოხელემ ბონდარევმა პოლიციის მე 10 ნაწილში მალაკნის ქუჩაზედ შეიპყრო ბაქოდგან მომავალნი მუქამა გაბრიელიანი და ოვანესა ოღანესოვი, რომელთაც აღმოაჩნდათ ნაქურდალი 6 ხანჯალი, 11 ნაჭერი მაუდისა, თითო 8 არშინიანი, ერთი ჩერქეზული ჩოხა და სხვა ნივთები. ქურდები პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი. ნივთები არ იციან ვისია.

*** პარასკევს, 3 ნოემბერს, ღამით პოლიციის მე 5 ნაწილში ოქრომჭედლების ქუჩაზედ კარაპეტა სიმონიანცის საწვრიმალო დუქანში შეპარულიყვნენ ვიღაც ბოროტ განზრახველნი, რომელთაც მოეპარათ სხვა და სხვა ნივთები სულ 27 მან. 50 კაპ. ქურდებს თავს წააწყდა პოლიციის მოხელე იმ დროს, როცა დუქნიდგან გამოდიოდნენ. ამ დროს ერთს ბოროტ განმზრახველთაგანს შემოურტყავს მოხელესათვის და გაქცეულან; მოხელე გამოზდევნებია უკან და კიდეც შეუპყრია ერთი, რომელიც აღმო[ჩ]ენილა ტფილისის საპატიო მოქალაქე ივანე პავლეს ძე ჯანიბეკოვი; მისივე ჩვენებით შეიპყრეს მეორე ქურდიც ვიღაც კარაპეტა სარქისოვი. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

*** ამას წინად გვქონდა აღნიშნული, რომ 30 ოქტომბერს ვიღაც ბოროტგანმზრახველს მოეპარა ივანე ლეზინისათვის სხვადა სხვა ნივთები 150 მან. პოლიციას უკვე მიუგნია და დაუპატიმრებია ის ბოროტ განმზრახველი, რომელიც ქ. სიღნაღის მცხოვრებელი, გვარად სერგო მარქაროვი აღმოჩენილა. მარქაროვი გადაეცა სასამართლოს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. კახი** (საინგილო). ხუთი ვერსის მანძილზედ სოფ. კახიდგან მდებარეობს ჭალა, რომელსაც ინგილოები „ათადარს" ეძახიან. ამ ჭალაში, გარდა წვრილად ხეებისა, იზრდება თრიმლი, რომელსაც დიდი ბაზარი აქვს და აქაური მცხოვრებნი „სარადანს" უწოდებენ. სიტყვა „სარადანი" თათრულია და ჩვენებურად თრიმლს ჰნიშნავს. მშვენიერს სურათს წარმოადგენს, როდესაც ნაიბი ბრძანებას გასცემს „სარადნის" მოჭრისასა და საინგილოს სოფლები: კახი, ალიბეგლო, მეშაშაი, ქოთოქლო, ამბარ-ჩაი, ალი-სულთან-ქოთოქლო თავს ერთად მოიყრიან. ყველა: დიდი და პატარა, ახალგაზრდა და მოხუცი, მდიდარი და ღარიბი, ზოგი ცულით, ზოგი წალდით, ზოგი ურმით და ზოგი ფეხით, მიეშურება სიხარულით ამ ბუნებით დაჯილდოვებულ ჭალისაკენ, რომ თავისს თანამოძმეებს არ ჩამოჰრჩეს და „სარადანი" ბლომად მოსჭრას. ინგილოებისათვის „ათადარი" შენახულ ფულს წარმოადგენს. ყოველივე ინგილო დაიმედებულია, რომ „სარადანს" მოსჭრის, გაჰყიდის, გაჰყიდის და ფულს მეჭნება, მაგრამ ზოგიერთს მათგანს წ[ე]ლს იმედი გაუცრუვდა და გროში ფულიც არ უნახავს „სარადანის" გაყიდვით. ეს ზემოდ ხსენებული სოფლები მ[ა]შ[ი]ნ ე[გ]რ[ე]ბ[ი]ა[ნ], როდესაც ნაიბი უბრძანებს მ[ო]ს[ა]ხლეობას, რომ ხალხი შეიკრიბოს „ს[ა]რ[ა]დნის" მოსაჭრელად. გაჰჭირვებს თუ არა ინგილო ორს ან სამს კალოს გულის ფანცქ[ალ]ით მ[ო]ელის, ან ახლა დაიყვირებს „ჩოუში" (გზირი) და ან ახლაო, რომ „ათადარი გაიხსნაო". წელს თუმცა „სარადნის" მოსავალი ბევრი იყო, სამწუხაროდ, ღარიბმა გლეხმა ისე ვერ ისარგებლა, როგორც წინა წლებში; ამისი მიზეზი ის იყო, რომ ნაიბს უნდოდა კალოები მთლად გათავებული ყო და ერთად შესდგომოდა გლეხ-კაცობა „სარადნის" მოჭრასა. საქმე სამაგიეროდ უკუღმა დატრიალდა. ამ შემთხვევით ისარგებლეს შეძლებულმა გლეხებმა: იფიქრეს, ღარიბი გლეხი გართულია საქმეშიო, დაიქირავეს მუშები, სჭრეს „სარადანი" და ქურდულად ზიდეს ჭალიდგანა. მართალია, ნაიბმა შეიტყო იმათი ავაზაკობა და თვრამეტი ურემი მოჭრილი „სარადანიც" დაატუსაღა და სოფლის სასარგებლოდ გაჰყიდა, მაგრამ გვიანღა იყო: ღარიბმა გლეხმა ვერ ისარგებლა. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა გლეხ-კაცებმა აღარც-კი დაუცადეს ნაიბის განკარგულებას „სარადნის" მოჭრაზედ, მოიყარეს ერთად თავი და „ათადარისკენ" გაემგზავრნენ, მაგრამ ნაიბმა უკან დააბრუნა. მეორე დღეს, როდესაც ხალხი მთლად შეიკრიბა, ნაიბმა „სარადნის" მოჭრაზედ ნება დაჰრთო. ბევრი ღარიბი გლეხი დაბრუნდა შინ ცარიელ-ტარიელი, რადგანაც ჭალა წინადვე გაჩეხათ და „სარადანი" ყველას აღარ გასწვდა. კარგი იქნება პოლიციამ შემდეგისათვის იზრუნოს რამე ხალხისათვის, კეთილ-საიმედო მცველები დაუყენოს „ათადარს", და აღკვეთოს. მასა იმ შეძლებულ გლეხებისა, რომელნიც ასე გაუმაძღრობენ და ღარიბს გლეხ-კაცობას პირიდგან უკანასკნელს ლუკმასაც-კი აგდებინებენ.

გ. ფარადაშვილი

## თეატრის მატიანე

„სამშობლო", ისტორ. დრამა 5 მოქ. თავად ერისთავისა.

„დედის ერთა", კომედია 1 მოქმედ. ვ. გუნიასი.

კვირას, 5 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა დრამა „სამშობლო".

მსახიობთა შორის ძალიან მოგვეწონა ამ საღამოთი ბ-ნი გამყრელიძე თავ. სვიმონ ლეონიძის როლში. ბ-ნმა გამყრელიძემ საუცხოვოდ და მგრძნობიერად ჩაატარა მეოთხე მოქმედებაში ხიმშიაშვილთან გამოთხოვების სცენა. არა უშავდა-რა ბ ნ სვიმონიძეს პირველ ოთხ მოქმედებაში, სამაგიეროდ უკანასკნელ მოქმედების მეორე სურათში ეს მსახიობი სუსტობდა. ბ-ნ სვიმონიძეს ხშირად უხდება ხიმშიაშვილის როლის წარმოდგენა, ამიტომ კარგს იზამს ეცადოს, რომ უკანასკნელ მოქმედებაში ხიმშიაშვილის სულიერი მდგომარეობა მარტო ყვირილითა და თვალების ბრიალით არ გვამცნოს ხოლმე. შაჰის როლს ამ საღამოთი ბ-ნი გედევანოვი ასრუ-

---

რუსეთის ჯარი შესდგებოდა ორის ბატალიონისა და 100 ყაზახისაგან. სულ ამ ჯარში 43 აფიცერი და 1224 ჯარის-კაცი იყო. ამას გარდა რუსებს 4 ზარბაზანიცა ჰქონდათ.

ლეკები კახეთში შევიდნენ და ალაზნის მარჯვენა ნაპირზედ დაბანაკდნენ. ომარ-ხანმა გადასწყვიტა პირდაპირ ტფილისს წასვლა. იმას უნდოდა 2000 კაცით საგარეჯო დაეჭირა, რომელიც ტფილისიდგან 50 ვერსის მანძილზედ მდებარეობს, და ნარჩენის ჯარით-კი ორის მხრიდგან შესჴეოდა ტფილისს: ერთი ნაწილი მტკვრის მარცხენა მხრიდგან, მეორე მტკვარს უნდა გასულიყო და იქიდგან შესულიყო ტფილისში.

1 ნოემბერს ლაზარევი სიღნაღში ჩავიდა. რათა სისხლის ღვრა თავიდგან აეცდინა, ლაზარევმა მოლაპარაკება დაუწყო ომარ ხანს და სთხოვა, უომრად გასცლოდა საქართველოს. მაგრამ ომარმა, რომლის ჯარიც ამ დროს თითქმის 15 ათასს კაცს აღემატებოდა, არ შეისმინა გენერლის რჩევა და უწინდელებრ გზა განაგრძო: იგი ალაზანს გავიდა და ს. ყარა-აღაჩთან დაბანაკდა, თუქურმიშის მახლობლად.

ამ დროს ქართველები და რუსებიც შეერთდნენ. ქართველთა ჯარი სულ 3 ათასს ქვეითა და ცხენოსან მეომართაგან შესდგებოდა. უფროსობდნენ ჯარს ბატონიშვილები ბაგრატ და იოანე. ქართველ-რუსთა შეერთებული ჯარი სიღნაღიდგან ცივგომბორის მაღლობებით გაემართა და სოფელ პრასიანთან დაბანაკდა. ლაზარევმა და ბატონიშვილებმა, რაკი დაინახეს, რომ ომარი თავისას არ იშლიდა და მშვიდობიანად საქართველოდგან გასვლას არ აპირებდა, გადასწყვიტეს თვით მიეტანათ პირველთ იერიში და თვით დასცემოდნენ მტერს. ამ აზრით ბატონიშვილები, ლაზარევი და გულიაკოვი თავიანთის ჯარით 5 ნოემბერს ხელ-ახლა აიშალნენ და მტრის ბანაკიდგან 6 ვერსის მანძილზედ დადგნენ.

მეორე დღეს, იმპერატორ პავლეს ტახტზედ ასვლის წლის თავზედ, სწორედ იმ დროს, როდესაც ამის გამო ბანაკში პარაკლისს იხდიდნენ, ქართველმა დარაჯებმა შეატყობინეს გენერალ ლაზარევსა და ბატონიშვილებს, რომ მტერმა ჯერ ისევ გათენებამდე მარცხნივ მოუარა ჩვენ ბანაკს და მდინარე იორისაკენ დაიჭირა გზაო. ლაზარევმა და ბატონიშვილებმა დიდხანს აღარ დააყოვნეს: მაშინვე აშალეს ჯარი და მტერს ფეხ-და-ფეხ გამოუდგნენ იმავე გზით, რა გზითაც ომარ-ხანი მოდიოდა. აზრადა ჰქონდათ ზურგიდგან დასცემოდნენ მტერს, ბრძოლაში ჩაეთრიათ იგი და ამ რიგად ტფილისისაკენ აღარ გაეშვათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა ხანს უკან ამ გზით ბუჩქნარისა და ხრამების გამო ზარბაზნების ტარება შეუძლებელი შეიქმნა: ჯარი თითქმის დაეწია კიდეც მტერს, როდესაც ხრამებსა, გორაკებსა და ბუჩქნარს წააწყდა, რის გამო ამ დღეს ბრძოლა ველარ მოხდა. ბატონიშვილმა იოანემ სხვა გზა უჩვენა ჯარს, რომლითაც ადვილად შეიძლებოდა ივრის ველზედ გასვლა. გენერალმა ლაზარევმა სურსათის ურმები და 100 ჯარის-კაცი სოფ. პრასიანში დასტოვა, დანარჩენი ჯარი აჩქარებულის ნაბიჯით ივრის ხეობისაკენ წაიყვანა.

მეორე დღეს რუს-ქართველთა ჯარი აჩქარებულისავე ნაბიჯით 15 ვერსტს გასცდა, ცოტა ხნის შესვენების შემდეგ გაშლილ ივრის ვაკეში გავიდა და მდინარისაკენ გაემართა. მტერი უკვე იორის მარჯვენა მხარეს გადადიოდა. რუს ქართველთა ჯარმა მალე თვალი მოჰკრა ომარხანის ლაშქარს, რომელიც შავი ნისლივით მოსდებოდა არე-მარეს. შორს ტყის ძირში მტრის ბანაკიც მოსჩანდა. რუსებმა და ქართველებმა ერთიორად უფრო აუჩქარეს ფეხს. მტერი ძალიან გაჰკვირდა, როდესაც დაინახა მდინარისაკენ დაქანებული რუსის მხედრობა, რომელსაც უკან ქართველები მისდევდნენ. განცვიფრებულმა ომარმა წინამძღოლნი მიიწვია და სამხედრო თათბირი გამართა. ამ თათბირის დროს ჰყვიროდნენ, ჩხუბობდნენ, მაგრამ გადაწყვეტილება ვერავითარს ვერ დაადგნენ. ბოლოს უმრავლესობამ (ზოგს მოლაპარაკების დაწყება უნდოდა) ბრძოლა გადასწყვიტა. მალე წინამძღოლებმა უბრძანეს კიდეც მეომრებს გაღმა გასულიყვნენ და დაღმართზედ დაშვებულ ლაზარევის ჯარს დაჰხვედროდნენ.

რუს-ქართველთა ჯარი ამ ნაირად იყო გაწყობილი: მარჯვენა ფრთეს ეგერთა მე-17 რაზმის ბატალიონი შეადგენდა, რომელსაც თვით გენერალი ლაზარევი უფროსობდა. მარცხენა მხარეს, გენერალ-მაიორის გულიაკოვის უფროსობით, მუშკატერთა ბატალიონი იდგა, ხოლო შუა გულში—ქართველთა ჯარი, ბატონიშვილების ბაგრატისა და იოანეს უფროსობით, წინ ქვეითა მეომარნი იდგნენ, უკან ცხენოსანნი. ქართველები ნაკლებად იყვნენ შეიარაღებულნი, ზოგს თოფიც-კი არა ჰქონდა. როდესაც ლეკები მდინარის მარცხენა მხარეს გადავიდნენ, მათმა ცხენოსანთა ჯარმა ერთის ზარითა და ზეიმით იერიში მიიტანა მარჯვენა ფრთეზედ, რომელსაც გენერალი ლაზარევი უფროსობდა, მაგრამ მამაცმა ეგერებმა დროზედ მოიმარჯვეს თოფები და ზარბაზნები და იმის გარდა, რომ მრავალი იქვე დააწვინეს, ზედ მოსული კავალერია უკან დასწიეს. რა კი აქ ველარაფერი გააწყეს, ცხენოსანმა ლეკებმა ლაზარევის ჯარს მოუარეს და ახლა უკან მდგომ ქართველთა ცხენოსანთ მიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებდა. ჩვენი მსახიობნი ამ როლს ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ხოლმე, თუმცა იგი პიესაში ერთი უმთავრესთაგანია და ისეთსავე დაკვირვებასა და მეცადინეობას თხოულობს, როგორსაც ლეონიძისა და ხიმშიაშვილის როლები. წარსულ კვირას ბ-ნმა გედევანოვმა განიზრახა შაჰის ხასიეთისათვის მეტი თავისებურობა მიეცა და ამით უფრო ნათელ ეყო მაყურებელთათვის ამ მტარვალის ბუნება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ დაიცვა ეს თავისებურობა. თუ მხედველობაში მივიღებთ ქეთევანის როლის სიძნელეს, ამ საღამოთი არც ქ-ნ კარგარეთელს უშავდა-რა. არ მოგვეწონა ეს მსახიობი მხოლოდ მესამე მოქმედების ბოლოში, როდესაც ქეთევანს კარებს ულობავენ და შაჰის სადგომიდგან გარეთ აღარ უშვებენ. ქ-ნმა კარგარეთელმა ფარდის ჩამოშვების წინ ერთი შეჰკივლა, ციბრუტივით შემოტრიალდა და იატაკზედ გაწვა, თითქოს ფეხი დაუსხლტაო. ნუ-თუ წაქცევა საჭიროა? განა როგორმე სხვანაირად არ შეიძლება ამ მოქმედების დამთავრება?

დრამის შემდეგ წარმოდგენილი ბ-ნ გუნ-ას ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „დედის ერთა“ მეტად გაჭიანურებული გამოდგა. მშვენივრად წარმოადგინეს ვოდევილში თავიანთი როლები ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ და ბ-ნმა შათირიშვილმა და სწორედ ამათი წყალობა იყო, რომ ვოდევილის წარმოდგენის დროს მაყურებელთ არ მოსწყინდათ. კარგები იყვნენ ამ ვოდევილში აგრეთვე დანარჩენი არტისტებიც. გვიკვირს მხოლოდ, ბ-ნმა რეჟისორმა როგორ მიანდო სონას როლი სრულიად გამოუცდელ ქალს.

თეატრი თითქმის სავსე იყო.

შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს, 9 ნოემბერს იქმნება. დანიშნულია ბ-ნ სვიმონიძის საბენეფისოდ ახალი ისტორიული დრამა „ორი გმირი“.

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება

კვირას, 5 ნოემბერს, დრამატიულ საზოგადოების კრება მოხდა. კრებას ამ ჟამად, შედარებით პირველად დანიშნულ დღესთან, წევრები ბლომად დაესწრნენ.

კრება გამგეობის თავმჯდომარემ ბ ნმა ვ. სულხანიშვილმა გახსნა. გამგეობის წევრმა ბ-ნმა პ. ყიფიანმა დამსწრეთ საზოგადოების მოქმედების 1899 წ. — 1900 წ. (1-ლ ოქტომბრიდგან 1-ლ ოქტომბრამდე) ანგარიში წაუკითხა. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოების მოქმედება ამ წლის განმავლობაში, წარსულ წლებთან შედარებით, ნაყოფიერი ყოფილა, წარმოდგენებს საკმაო შემოსავალი უძლევიათ, თანხა გაუძლიერებია კავკასიის მთავარმართებლის თავ. გოლიცინის მიერ შემოწირულს 2,000 მან. და სხ. შემოწირულებათ. საანგარიშო წლის დამლევს საზოგადოებას ნაღდ ფულადა ჰქონია 2,482 მან. და 27 კაპეიკი, რაიცა ჩვენის საზოგადოების არსებობის დღიდგან პირველი მაგალითია. 1899 წლის 1 ოქტომბრიდგან 1900 წლის 1-ლ ოქტომბრამდე გამართულა სულ 28 წარმოდგენა, რომელთა შორისაც 2 საქველ-მოქმედო ყოფილა და შემოსულა სულ 11,101 მან. და 19 კაპ., წარსულ წელთან შედარებით 3781 მან. და 52 კაპ. მეტი. ამ ჟამად საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი წიგნებია: რუსულს ენაზედ 85 (227 ცალად), პიესები რუსულადვე—312; ქართულს ენაზედ—87, უცხო ენებზედ - 58-ე ნაბეჭდი წიგნები. რაც შეეხება პიესებს, 26 სექტემბერს წიგნთ-საცავში ყოფილა სულ 358 ცალი პიესა სხვა-და სხვა სახელისა. ანგარიშში მოხსენებულია მოქმედება ეგრედ-წოდებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციისა, მაგრამ არ არის დასახელებული წლის განმავლობაში სექციას რამდენი წარმოდგენა გაუმართავს, ან პროვინციებში რამდენჯერ გამართულა წარმოდგენები, თუმცა ეს არც ისე ძნელი შესასრულებელია, როგორც გამგეობას ჰგონია, რადგანაც თითოეულის წარმოდგენის შესახებ ქართულს ჟურნალ-გაზეთებში უთუოდ იბეჭდება რამე და ადვილი ამოსაკრებია. ასე რომ გამგეობა ტყუილად სწუხს ცნობების შეკრების შეუძლებლობასა. მოყვანილია აგრეთვე მოკლე ანგარიში ქართულის თეატრის არსებობის 50 წლის იუბილეისა, რომელიც შარშან იქმნა გარდახდილი. როგორც ანგარიშიდგანა სჩანს, დღემდის ქართულს ენაზედ წარმოუდგენიათ დაახლოვებით 219 სხვა-და-სხვა პიესა. ამათში კომედია-ვოდევილი ყოფილა 139, დრამა-ტრაგედია 80. ყველა ამ პიესებში ორიგინალური მხოლოდ 85 (50 კომედია-ვოდევილი და 35 დრამა და ტრაგედია), უმეტესი ნაწილი ორიგინალურის დრამებისა ისტორიულ შინაარსისაა. საზოგადოებას ამ ჟამად 205 წევრი ჰყავს და ახლად მიიღო ათიოდე კიდევ სხვა. დასასრულ გამგეობა მიჰმართავს ქართველს საზოგადოებას, რომ თეატრის საქმის წინ სვლას ხელი შეუწყოს და საკუთარი ბინა როგორმე მოუპოვოს. წრეულს ქართველ თავად-აზნაურთა თეატრის შენობა იჯარით საზოგადოების გამგეობასა აქვს აღებული.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ საზოგადოების წევრმა ბ-ნმა ი. მაჭავარიანმა უსაყვედურა გამგეობას, თუ რომ ანგარიში დაბეჭდილი იყო, რატომ წევრებს ადრევე არ დაურიგეს, რომ ყველა დროზედ გაცნობოდა საზოგადოების ანგარიშსა და კრებაზედ დასასწრებად ისე მისულიყო. ამაზედ გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაბეჭდილი ანგარიში მხოლოდ გუშინ მივიღეთ და დარიგება ვერ მოვასწარითო. კრებამ დაადგინა ამიერიდგან ანგარიში ადრე იბეჭდებოდეს და წევრებს ორი-სამი დღით წინად ურიგდებოდეს, ვიდრე კრება მოხდებოდეს. საზოგადოებამ ანგარიში მცირე რამ ცვლილებით დაამტკიცა.

ანგარიშის შემდეგ კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა ვ. სულხანიშვილმა საზოგადო კრებას თეატრის იჯარით აღების საქმე მოახსენა, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია. თანახმად მოლაპარაკებისა და პირობებისა, თავად-აზნაურთა მამულის გამგე კომისიისაგან თეატრი 20 ენკენისთვეს უნდა ჩაბარებოდა საზოგადოების გამგეობას, რომელმაც თავისს მხრივ საიმპერატორო თეატრის არტისტს ბ-ნს დალსკის მიაქირავა 1 ოქტომბრიდგან. გამგეობამ თეატრი თავისს დროზედ ჩაიბარა, მაგრამ ელექტრონის სტანციის მოუწყობლობის გამო, წარმოდგენები ვერ გაიმართა და გაცდენილ დღეების საზღაურად გადაუხადა დალსკის 2125 მანეთი. კომისიისა და გამგეობის პირობის ძალით ეს ჯარიმა უნდა ეტვირთა მამულის გამგე კომისიას, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავისს მოვალეობად არა სცნო ეს ჯარიმა გარდაეხადნა. კრებამ გამგეობასთან ერთად გადასწყვიტა გამგეობის ზარალის დაკმაყოფილება მომავალს სათავად-აზნაურო კრებასა სთხოვონ. გამგეობამ აღუთქვა საზოგადოებას, რომ ყოველსავე ღონისძიებას იხმარებენ შემდეგში თეატრს სინათლე არ მოაკლდეს და ამის გამო ზოგიერთის წევრის მიერ წარდგენილი წინადადება, რომ მეორე რუსულ დასისათვის თეატრი აღარ მიექირავებინათ, უარ-ყოფილ იქმნა. კრების დასასრულ სარევიზიო კომისიის წევრები ამოირჩიეს. წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ქ-ნი მ. ი. დემურია, შ. დადაბრიშვილი და გ. ქურდოვანიძე.

## უცხოეთი

ჩინეთი. როგორც სამხრეთ ჩინეთიდგან იუწყებიან, რეფორმატორ ჩინელების უმეტესობას ეგრედ წოდებულის ხაკკის ტომის ჩინელები შეადგენენ, რომელთა მამა-პაპაც ტაიპინგების აჯანყების დროს 1860 წელს ჩინეთის გაწყობილს ჯარს ებრძოდნენ. ამათ უანდერძეს შვილებს დღე-ცინგების ჩამომავალთა მტრობა და შური. როგორც ზეპირგადმოცემიდგანა სჩანს, ხაკკები მანჯურებს გამოურეკიათ ჩრდილო ჩინეთიდგან და სამხრეთ ჩინეთში დასახლებულან; ამისა გამო ხაკკები დღემდის მტრულად და შურის თვალით უყურებენ მანჯურელებს. 80-იან წლებში ხაკკებმა ერთის ინგლისელის დახმარებით საჭირო იარაღიც შეიძინეს, ხალხიც სულმთლად მოამზადეს ასაჯანყებლად, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ შეთქმულობა გაუგო და შეთქმულთაგანს ბევრს კისერი წააწყვეტა. ამ ჟამად ხაკკები სუნ-იაჩუნის რჩევით მიათ-ცზის მთიულებს შეუერთდნენ და უცდიდნენ იმას, აცა ჩინეთის მთავრობას იმპერიის ჩრდილოეთს ნაწილში არეულობა როდის შეავიწროვებს და ჯარებს გაიწვევსო. როგორც-კი მთავრობამ ჯარი ჩრდილოეთში გაიწვია, ტრიადის და ლილიის ორივე საზოგადოება სწრაფად შეერთდა და დაიცინგების ტახტიდგან გადმოგდებას შეუდგა. ევროპიელთა ჯარების მიერ დატყვევებულს ხაკკებს ჩინეთის მთავრობა თხოულობს, მაგრამ ევროპიელი კონსულები ხელში არ აძლევენ ტყვეებს, რადგანაც ადრევე კარგად იციან, აჯანყებულებს რა ბედი მოელით. ჩინეთის მოხელეებმა კარგად იციან, რომ აჯანყებულნი მალე შეშინდებიან, როგორც კი ერთი ორჯერ ბრძოლას წააგებენ და კავშირსაც დაარღვევენ და ამის გამო ჯერ-ჯერობით რეფორმატორ ჩინელთა მოძრაობით ასე რიგად შეწუხებულნი არიან. იგინი ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ აჯანყებულთა მოძრაობა თავისს თავად შესწყდება, მოისპობა, მეტადრე მაშინ, თუ რომ მათს წინამძღოლს სუნ-იაჩენს შეიპყრობენ ან მოჰკლავენ. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მათი ოცნება არა მართლდება. აჯანყებულთა წინამძღოლი მეორედ იყო საიდუმლოდ კანტონში და იცნეს კიდეც ძველს ქალაქში, მაგრამ როდესაც შეპყრობა დააპირეს, ხალხი მაშინვე მიეშველა, მიიმალა და ფან-იუნის მაზრაში გააპარეს. ჯარმა, მართალია, მოინდომა შეპყრობა, კიდეაც გამოედევნა, მაგრამ ვერ დაიჭირა.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც ბოლოს დროს იუწყებიან, ბურები თან-და-თან მეტს მხნეობას იჩენენ: წარსულს კვირას ბურები სულ რამდენისამე მილის მანძილზედ მისულან ბლუმფონტენთან, დაუჭერიათ ლეიკოპი და ყველანი გაუდევნიათ. პრეტორიის გარშემოც ერთობ დიდს მოძრაობას იჩენენ: აქაც ტელეგრაფის მავთულები დაუწყვეტიათ, გზები შეუკრავთ და სხ. როგორც უკანასკნელი დეპეშა იუწყებიან, სტანდერტონის მიდამოების ბურები კვლავ ამხედრებულან და ბრძოლა დაუწყიათ. ვრიგეიდში კიდევ მთელი რაზმი ინგლისელებისა მოუმწყვდევიათ. ერთი სიტყვით, ძნელია კაცმა სთქვას, ვინ არის გამარჯვებული: ინგლისელები, რომლებმაც თავისი ურიცხვი ჯარი ბურების მამულზედ გადაატარეს, აქა-იქ ქალაქები დაიპყრეს და ბურები გადევნეს, თუ ბურები, რომლებმაც ახლა პირი იბრუნეს და სიმაგრეებსა და ქალაქებში ჩამსხდარს გულდამშვიდებულს ინგლისელებს ისევ ბრძოლა აუტეხეს?.. ეჭვი არ არის, ინგლისელები ამბებს აზვიადებენ და სამშობლოში მეოთ ამშვიდებენ, რომ მტერი განადგურებულია. მეფკინგის გმირს ბადენ-პოუელს ახალი გეგმა შეუდგენია მოუსვენარ მტრის ასალაგმავად: მისის აზრით, ყველა იმ ადგილას, სადაც-კი ბურები უფრო მეტს მოუსვენრობასა და მხნეობას იჩენენ, ე. ი. სადაც უფრო ჰმუშხავენ ინგლისელებს, უნდა დაშენდეს სიმაგრეები და იყოლიონ მცირე რაზმები, რომლებმაც მტერს მუდამ თვალყური უნდა ადევნონ. ამ აზრისათვის სულ ათიოდე ათასი კაცი საკმარი იქნებაო, ბრძანებს იგი გარდაწყვეტილად და სამშობლოდგან უფრო თავ-გამოდებულს მეომრებს იწვევს ამისათვის. მაგრამ, საყურადღებოა ვიცოდეთ, განა აქამდისკი ასე არ ქცეოდნენ ინგლისელები, განა ყველა დაპყრობილს ადგილებში თავისი ჯარი არა ჰყავთ ჩაყენებული, მაშ ახალი აქ რაღა არის? ეს უთუოდ თითონ ავტორის საიდუმლოა, მაგრამ როგორ გაუმართლებენ ბურები ამ ტკბილს ოცნებას, ამას მომავალში შევიტყობთ.

ას ჟურნალი „Manchester Guardian“ აფრიკის საქმეთა შესახებ რას იწერება: „ტრანსვაალში მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება. ჯერ ისრევ შორსა გართ ბრძოლის გათავებამდე, როგორც ამ რამდენისამე თვის წინად. ფერმების დაწვა, საქონლის მოტაცება, დედაკაცებისა და ბავშვების დატყვევება და სხ. მისთანანი ამ ჟამად ბრძოლის საუკეთესო საშუალებად ითვლება. ვინც რომ დღემდის ვაჟკაცობას ბურებს უკიჟინებდა, ვინც რომ ტრანსვაალში ბრძოლის აზრად ვითომ-და განათლებისა, კულტურისა და სინათლის შეტანას აღიარებდა წინად, ახლა ისინი ბურების დასამორჩილებლად შემდეგს საშუალებას ხმარობენ: ჰხოცვენ დედებს, ცოლებს და ბავშვებს ბურებისას, რომ ამით როგორმე დაიმორჩილონ. ეჭვი არ არის, ინგლისელთა ასეთი მოქმედება მხოლოდ უარესად გაამწვავებს ბურებსა და ომის დასრულებას ბოლო არ ეღირსებაო“.

---

სივნენ. მაგრამ ვერც იქ გააწყეს რამ: ქართველმა ცხენოსნებმა მამაცურის შეტევით უკანვე დასწიეს მტერი. ამასთან მარცხენა მხრიდგან მუშკატერებმა დაუშინეს მტერს ტყვია. ძლეულმა კავალერიამ მახლობელ კოშკთან განიზრახა თავის მოყრა. ზარბაზნების ყუმბარებმა იქიდგანაც გასდევნა. სწორედ ამ დროს მოახლოვდა მტრის ქვეითა ჯარიც, რომელმაც შორიდგანვე სროლა დაუწყო ეგერთა ბატალიონს. მაგრამ ამ ჯარსაც დიდხანს არ დასცალდა თარეშობა. მარცხნით ლაზარევმა, მარჯვნით გულიაკოვმა, ხოლო შუაში ქართველებმა მედგრად შეუტიეს მტერს და მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ უკუ-აქციეს იგი. განსაკუთრებით გულიაკოვის რაზმმა გამოიჩინა თავი.

მეტად ცხარე ბრძოლა ასტყდა. გაბრაზებულმა ომარმა, რაკი დაინახა, რომ ლეკნი მარცხდებოდნენ, უკანასკნელი საშუალება სცადა ომის მოსაგებად: როგორც იქმნა ომარმა თავს მოუყარა გაფანტულ ცხენოსნებს და მედგარი იერიში მიიტანა ქართველთა ქვეითა ჯარის უკანა რიგობაზედ, რომელსაც მარცხნივ გულიაკოვის ბატალიონი ედგა. მამაცად და თავ-გამოდებით შეეტაკნენ ქართველები ურიცხვ მტერს. გულიაკოვმა, დაინახა რა ეს ცხარე ბრძოლა, ხელად გასწმინდა მტრისაგან მთელი მარცხენა მხარე მდინარე ივრამდე, მოაბრუნა თავისი ჯარი და ქართველებთან ერთად შეუტია ომარს. ძლეულმა მტერმა ზურგი უჩვენა გამარჯვებულთა და უკან დახევა განიზრახა. როდესაც მარჯვენა ფრთიდგან ლაზარევის მეომრებმა დაუშინეს ტყვიები და ყუმბარები, ლეკები საშინლად შეშინდნენ, ერთმანეთში აირივ-დაირივნენ და, საბოლოოდ დამარცხებულნი, უგზო-უკვლოდ გაიფანტნენ. ბრძოლა, რომელმაც სამი საათი გასტანა, ლეკთა სრულის დამარცხებით დასრულდა. რუს-ქართველთა ჯარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ორის კვირის ტანჯვა-წვალების შემდეგ მეომარნი სიხარულით ულოცავდნენ ერთმანერთს გამარჯვებას. მტერმა 2000 კაცამდე დაჰკარგა ამ ბრძოლაში. თვით ომარმა, დაჭრილმა და ბოლმით მოკლულმა, ათის კაცით ძლივს მოახერხა სოფელ ჯარისაკენ გაქცევა. რუსებმა და ქართველებმა მხოლოდ რამდენიმე კაცი დაჰკარგეს.

გამარჯვებულმა ჯარმა ღამე იორის მარჯვენა მხარეს გაათია, სოფელ კაკაბეთის მახლობლად. 12 ნოემბერს ჯარი ტფილისში დაბრუნდა. ქალაქს გარედ გამარჯვებულთ მიეგებნენ თვით მეფე გიორგი, სამღვდელოება, კარის-კაცნი და წარჩინებულნი. მეფე ცხენიდგან ჩამოხტა და ფეხით შეუძღვა ჯარს ქალაქში. აუარებელი ხალხი სიხარულით და აღტაცებით ეგებებოდა მტრის გამანადგურებელთ.

გამარჯვების ამბავი როგორც თვით მეფემ, აგრეთვე ლაზარევმა პეტერბურგს იმპერატორს აცნობეს. ჯილდოდ იმპერატორისაგან ლაზარევმა, გულიაკოვმა, ბატონიშვილებმა ბაგრატმა და იოანემ კამანდორის ჯვრები ორდენის წმ. იოანე იერუსალიმელისა მიიღეს. მოხსენებაში ლაზარევი განსაკუთრებით შეაქებს რუსთა ჯარის შემდეგ აფიცრებს: კაპიტნებს ტაგანოვსა და ზუბკოვს, შტაბს-კაპიტნებს იაკიმოვსა და პოკატაევს, მაიორებს თავად საააკაძესა და ლიახოვს, პორუჩიკებს გოლოვანევსა, დიაჩკოვსა და ტიმაშევს, პოდპორუჩიკებს კარცევსა და კარაჩევს, იუნკერს თავად ანდრონიკაშვილს და სხვათა.

იორის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ტფილისისა, ისე მთელ ქართლ-კახეთისათვის. თუ არ ეს გამარჯვება, ტფილისს ერთხელ კიდევ მოელოდდა აღა-მაჰმად-ხანისებური აოხრება.

როტმისტრი ბ. ესაძე

— თუ რომ ბურები არა სცხრებიან და დამოუკიდებლობის მოსაპოებლად უკანასკნელს სისხლის წვეთს ნელ-ნელა აფრქვევენ სამშობლოს თავისუფლებისათვის ამართულს სამსხვერპლოზედ, სამაგიეროდ განათლებულ ერთა თანაგრძნობაც დღითი-დღე იზრდება და ადგილს პოულობს ხალხის იმ ნაწილშიაც-კი, სადაც ჩვენის წარმოდგენით, უოველივე უნდა სდუმდეს. საფრანგეთის თავისუფალს სულს ბავშვებშიაც გაუღვიძნია და მომავალს მოქალაქეებს თავისუფალ ერისას, მაგრამ დღეს ჯერ პაწია მოწაფეებს სხვა-და-სხვა სკოლებისას გარდაუწყვეტიათ მოხუცს პრეზიდენტს ბურებისას კრიუგერს ადრესი მიართვან. ადრესში ნათქვამია თურმე: „პრეზიდენტი კრიუგერი ჩვენს სამშობლოს დიდს პატივს უცხადებს, რომ უნდა გვეწვიოს! გადაეცით ჩვენი სრული თანაგრძნობა და განცვიფრება იმ გმირს მეომრებს ბურებს, რომელნიც სამშობლოს განსათავისუფლებლად ასე თავ-განწირულად იბრძვიანო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად პორტუგალიის დედოფალმა ამალიამ ერთი კაცი დახჩობისაგან გადაარჩინა. პორტუგალიის გაზეთები სავსეა ეხლა ამ ამბის აღწერით. დედოფალმა და იმის მახლობელთ ოქტომბერი კასკოასში გაატარეს. ყოველ დღე დედოფალი მეთევზის კატალაოს ნავით ერთის ან ნახევარის საათით ზღვაში დასეირნობდა ხოლმე. ერთხელ ასეთ სეირნობის შემდეგ, კატალაომ ნავი ნაპირს მიაყენა, დედოფალი გადასვა და თვით ზღვაშივე შებრუნდა და პატარა ქვემოდ გაემართა, სადაც ადვილად შეიძლებოდა ნავის ნაპირზედ გამოთრევა. მოულოდნელად, სწორედ იმ დროს, როდესაც ნავს აბრუნებდა, უზარმაზარი ტალღა დაეჯახა და ნავი გადააბრუნა. ამ დროს დედოფალი ეტლში ჯდებოდა. დაინახა რა ნავის გადაბრუნება, დედოფალი იმ წამსვე ჩამოვიდა ეტლიდგან და ტანისამოსიანი ზღვაში გადახტა და კატალაო ნაპირზედ გამოიტანა. დედოფალი რომ არ მიშველებოდა, კატალაო უეჭველად დაიღუპებოდა, რადგანაც ნავის გადაბრუნების დროს ხელი მოსტყდა და ცურვა ველარ შესძლო. დედოფლის ბრძანებით, მითევზე სასახლეში წაიღეს, სადაც მკურნალებმა შემწეობა აღმოუჩინეს.

* * *

ამას წინად პარიჟში ოთხმა ახალგაზდა კაცმა, ბორნარდ-დე-სარონის ქუჩაზედ გავლის დროს, თვალი მოჰკრეს მშვენიერ სანადირო ძაღლს. ერთმა მგზავრთაგანმა, მივიდა რა ახლოს, კისერზედ ხელიც-კი გადაუსვა ძაღლს, მაგრამ უცბად შეშინებულმა და ელდა ნაცემმა უკან დაიწია და თვალები დააჭყიტა. ძაღლი თურმე ვეფხვი აღმოჩენილა, რომელიც სამხეცოდგან გაქცეულა. აკანკალებულმა ყმაწვილმა ძლივს მოახერხა ნელ-ნელა ფეხის უკან გადადგმა და საშიშ ადგილიდგან წასვლა. რომ გასცდა ვეფხვს, მხოლოდ მაშინ დაინახა შორი ახლო ოთხი მოსამსახურე, რომელნიც კარგა ხანია ხელით ანიშნებდნენ, ნუ მიუახლოვდებიო. მოსამსახურეებმა ცოტა ხანს შემდეგ ბადე ესროლეს, შიგ გახლართეს ვეფხვი და გალიაში ჩაამწყვდიეს.

* * *

ტირირენის ზღვაში, ნეაპოლიდგან 100 კილომეტრის მანძილზედ მდებარეობს ერთი პატარა კუნძული, სახელად პონცი. ამ კუნძულზედ რომის იმპერიის დროგან დაწყებული დამნაშავეებსა ჰგზავნიდნენ. სხვათა შორის, იმპერატორმა ავგუსტომ პონცზედ გადაასახლა თავისი გარყვნილი ქალი იულია. დღეს კუნძულზედ უმთავრესად ანარქისტებსა ჰგზავნიან. ბევრ სხვა ანარქისტთა შორის კუნძულზედ იმყოფებოდა მკერავი მორესკი. მორესკი ოთხის წლით გაჰგზავნეს კუნძულზედ, ორი წელიწ დი მშვიდობიანად გაატარა, მაგრამ მერე მოჰბეზრდა ტყვეობა და გაქცევა განიზრახა. მოხერხებულმა ანარქისტმა ამისათვის გააკეთა მოზრდილი ყუთი, დააწერა ზედ საჭირო ადრესი, შემდეგ მიიწვია ამხანაგები, ჩაწვა ყუთში და უთხრა თავი დაეკრათ და დანიშნულებისამებრ გაეგზავნათ. 7 ოქტომბერს კუნძულზედ გემი „Adria" მისულა. ანარქისტებს ყუთი, სხვა ნივთებთან ერთად, გემზედ გაუტანიათ და ჩაუბარებიათ, თან უთქვამთ, ყუთში ადვილად გასატეხი ნივთებია და ფრთხილად მოექეცითო. საშიშ ანარქისტის მოულოდნელად გაქრობა მალე შეუმჩნევიათ. ძებნა დაუწყვიათ და ერთის პატიმრისაგან ყველაფერი შეუტყვიათ. მაშინვე ეს ამბავი დეპეშით ნეაპოლში უცნობებიათ. გემი მისულა თუ არა ამ ქალაქში, მოხელეებს ყუთისთვის თავი აუხდიათ და შიგ მყოფი მორესკი, რომელიც თავს მშვენივრათა ჰგრძნობდა თურმე, ზევით ამოუყვანიათ. საწყალ მორისკისთვის თავისუფლების ნაცვლად ხელ-ახლა კუნძულისკენ უკრავთ თავი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ნოემბერი

**პეტერბურგი.** მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის ავადმყოფობის ბიულეტენი: „ლივადია, 4 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა, დღისით ერთი საათი ეძინა. საღამოთი ტემპერატურა—38,9 ჰქონდა. მაჯა 70. ღამე მისმა უდიდებულესობამ კარგად გაატარა. დილით ტემპერატურა 38,1 ჰქონდა,—მაჯა—70. თავს კარგადა ჰგრძნობს. ავადმყოფობის მიმდინარეობა ნორმალურია. ლეიბ-ქირურგი გირში, საპატიო ლეიბ-მედიკი ლ. პოპოვი, ექიმი ტიხონოვი.

**ვაშინგტონი.** თუმცა გავრცელდა ის ხმა, რომ ამერიკის ელჩი კონჯერი ხელს უშლის მოლაპარაკებასო, მაგრამ ნამდვილად-კი ელჩი, მიღებულ ინსტრუქციათა თანახმად, გულ-მოდგინად მეცადინეობს საქმის რაც შეიძლება ჩქარა დასაბოლოვებლად. შეერთებულმა შტატებმა ბევრი მსხვერპლი მოუტანა შეთანხმების საქმეს, მაგრამ დამალვა არ შეიძლება იმისა, რომ აქ ვალდერზეეს საქციელი არ მოსწონთ. შეერთებული შტატები ვალდერზეეს სისასტიკეს და იმის მიერ ჩინელთა დასჯას სულ სხვა თვალით უყურებს. ვალდერზემ ასეთი დასჯა საუკეთესო საშუალებადა სცნო ახალ არეულობის გამოსაწვევად. ამტკიცებენ, რომ ამერიკის მთავრობის მოქმედებას საქმიანობა ნაკლებად ეტყობა და უფრო სანტიმენტალური ხასიათი აქვსო, მაგრამ უმთავრესი მიზანი, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს, არის ჩინეთის ხელშეუხებლობა, ევროპიელების ზარალის აღდგენა და მომავალში მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფა. ყველა ეს ადვილი მისახწევია დროებით შერიგების პირობათა დაურღვევლად, რომელიც დადებულ იქმნა სახელმწიფოთა და ლიხუნგჩანგსა და ცინის შუა.

ჩინეთის გავლენიან წრეებიდგან მოსული ცნობები ამტკიცებენ, რომ ამერიკის სახელი და გავლენა ჩინეთში არ შერყეულა იმით, რომ პაოტინფუში მან მონაწილეობა არ მიიღო, პირიქით ამერიკამ თავისის პოლიტიკის წყალობით უფრო მეტი მოიგოო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭო. დელკასემ წაიკითხა დეპეშა, რომლიდგანაც სჩანს, რომ ჩინეთში მყოფ ელჩებს შეუტყობინებიათ ჩავიანთ მთავრობისათვის რამდენიმე ახალი მუხლი. აზრად აქვთ ელჩებს ეს მუხლები დაუმატონ ექვს ძირითადს მუხლს მოლაპარაკებისას.

**დურბანი.** როგორც სტანუფტონიდგან იუწყებიან, იქაურ ოლქში მშვიდობიანობა ჯერ კიდევ არ დამყარებულა. ადგილობრივი ბურები ხელ-ახლა უერთდებიან რაზმებს.

**პიტერმარიცბურგი.** ვრიგეიდში ინგლისის მეცხოვნეთ ბურებმა ალყა შემოარტყეს. მეცხოვნეთ ქალაქს თავი მიანებეს. მათ ახლო-მახლო გორებზედ დაიჭირეს პოზიციები. რაზმს ექვსი თვის სამყოფი სურსათი აქვს.

**პარიჟი.** ტაკუდგან 3 ნოემბერს გამოგზავნილი დეპეშა ვუარონისა ამტკიცებს აღმოსავლეთისკენ აკლდამის აღებისა და პაოტინფუში მაჰმადიანთა მარშლის ფანტაიას სიკვდილით დასჯის ამბავს. შემდეგ დეპეშაში ნათქვამია, რომ პაოტინფუს ოლქში მშვიდობიანობაა, თუმცა აქა-იქ „დიდი მუშტის" მომხრენი შეუმჩნევიათ. ხანკოუსაკენ მიმავალ რკინის გზის შეკეთების საქმე წინ მიდის.

**შანჰაი.** ქვრივ დედოფალს აზრადა აქვს შანსის პროვინციის უმთავრეს ქალაქ ტაიენფუში დაბრუნდეს, რადგანაც ჰშიშობს, კანსუში მაჰმადიანთა აჯანყება დიდად არ გაძლიერდეს.

**შანჰაი.** გერმანიის მთავარი ელჩი ნანკინში წავიდა სამხედრო გემით, სადაც უკვე იმყოფებიან რუსეთისა, ინგლისისა და იაპონიის სამხედრო გემები. როგორც ამბობენ, პროტესტს გამოაცხადებენ სინანფუში სურსათის გაგზავნის გამო.

5 ნოემბერი

**შანჰაი.** პრინცი ტუანი ამ ჟამად დაპატიმრებულია შანსის პროვინციის ქალაქ ნინხსში; იუხსენი დატუსაღებულია პეივანში სიანცუს ახლო; ორივენი გაქცევას აპირებდნენ.

**ჰონკონგი.** აქ მოსულ ცნობებით კანტონში სამასი სახლი გადამწვარა.

**ბუხარესტი.** მკვლელობისა და შეთქმულების შესახებ ბრალდებულთ უკვე ჩამოართვეს ჩვენება. წინააღმდეგ ბოგდანოვის უარყოფისა, კარამბულოვს, როგორც ისმის, გამოუცხადებია, ბოსნიაკოვმა და ბოგდანოვმა მითხრეს, რომ მეფის მოკვლა ადვილია, რადგანაც იგი უამალოდ დასეირნობს ხოლმეო. პრეზიდენტმა განაცხადა აგრეთვე, რომ ბოგდანოვმა მითხრა, 1899 წლის 6 ნოემბერს არსოვი და ბოსნიაკოვი მეფეს დასდევდნენ მოსაკლავადაო.

**ლივადია,** 5 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორის ჯანმრთელობის ბიულეტენი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი დღე კარგად გაატარა; ცოტათი ეძინა; თვით-მგრძნობელობა კარგი ჰქონდა. საღამოს 9 საათზედ სიცხე ჰქონდა 38,7, მაჯის ცემა 64. მის უდიდებულესობას ღამე ძალიან კარგად ეძინა. დილით თვით-მგრძნობელობა კარგი ჰქონდა. 9 საათზედ სიცხე 37,6 ჰქონდა, მაჯის ცემა 68. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ მკურნალი პოპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

6 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 5 ნოემბერს პეტერბურგში დაბრუნდა რუსეთში მოგზაურობიდგან დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

5 ნოემბერს ყაზანის ტაძარში, სადაც იმყოფება სასწაულთ-მომქმედი ხატი ყაზანის ღვთის-მშობლისა დიდის ხალხის თან-დასწრებით, გარდაიხადეს წირვა და პარაკლისი, რომლის დროსაც ვედრება იქმნა აღვლენილი, რათა ხელმწიფე იმპერატორი განიკურნოს. წირვა გარდაიხადა ყოვლად უსამღვდელოესმა ანტონიმ.

ასეთივე პარაკლისები გარდაუხდიათ მოსკოვსა, კოვნასა, ნოვოჩერკასკსა, პოლტავასა, ასტრახანსა, პსკოვსა, სევასტოპოლსა და ოდესაში.

**პეკინი.** საფრანგეთის რაზმი წავიდა პეკინიდგან 24 ოქტომბერს და ტუნლინში ბრძოლის შემდეგ შევიდა; 300 „დიდის მუშტის" ჯარის-კაცი გაჰფანტეს; ფრანგებს ზარალი არ მოსვლიათ-რა: საიმპერატორო სამარხი იმათ ხელშია.

**ბერლინი.** ჯარის მთავარ-სარდალი იუწყება პეკინიდგან, რომ პოლკოვნიკის იორკის რაზმმა 1 ნოემბერს ჩადასგი მისულა, პეკინიდგან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, დიდ კედელთან, სადაც წინა საღამოს ჩინეთის ცხენოსანი ჯარი იმყოფებოდა. ამბობენ, რომ ეს ჯარი მოწინავე რაზმი იყო უფრო ძლიერის ჩინელთა ჯარისაო.

## ანგარიში

საქველ-მოქმედო საღამოსი, რომელიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ იქმნა გამართული ამ წლის 31 ოქტომბერს ქუთაისში.

შემოსავალი თეატრისა: ბილეთებიდგან 537 მან. 57 კაპ. პროგრამების გასყიდვიდგან—7 მ., იმათგან: ვინც არ დაესწრო, ნ. ნ. შარვაშიძისაგან, ს. ვ. თოფურიასაგან და ვ. ი. კვირკველიასაგან სამ-სამი მანეთი, ნ. ა. მხეიძისაგან—5 მან., ს. დ. ჯაფარიძისაგან—3 მან., ა. ს. წერეთლისაგან—3 მან. სულ შედგა—564 მან. და 57 კაპ. გასავალი თეატრისა: თეატრის ქირა—100 მან., პოლიციის ტანისამოსი—2 მან., სტატისტებს გამოსვლისთვის—1 მან., მწერლისა (авторскіе)—6 მან., პარიკმახერს—4 მან., ვლადიმიროვს (ბარიტონს)—30 მან., კაპელმეისტერს გაუდეკს 35 მან., მკერვალს—5 მან., ბიჭს—1 მან., პიანინოსი—15 მან. და 60 კაპ., კაპელმეისტერს ტერ-ასატუროვს—35 მან., სამს ბიჭს—8 მან. და 56 კაპ., ტელეგრამებისა—3 მან. 15 კაპ., აფიშებისა—5 მან., აფიშის გამკვრელს—2 მან. და 50 კაპ., ფოთში წასვლა ბ. გაუდეკის მოსაყვანად—5 მან., ფაიტონებისა—8 მან., სულ—241 მან. და 81 კაპ. შემოსავალი ბუფეტიდგან—160 მან. გასავალი ბუფეტში: მუსიკა 15 მან., რაფაელოვის მაღაზიიდგან 15 მან., გოკიელოვის მაღაზიიდგან—49 მან. და 10 კაპ., სასტუმრო „ორიანტიდგან"—8 მან. და 55 კაპ., ავრანიძის მაღაზიიდგან—5 მან. 70 კ., სანიკიძის საკანდიტეროდგან—10 მან. და 50 კ., მზარეულს გადასცა პროვიზიისათვის ა. დ. ბაქრაძემ—14 მან., ლაღიძის ზავოდიდგან 1 მან. და 45 კ., გვეტაძისაგან, სანთლებისა ორკესტრისათვის—3 მან. და 80 კ., მზარეულს და ფარეშებს—7 მან., ხილი, სანთლები და პური 4 მან. და 10 კაპ., ნავთი—1 მან., სალფეტკები—80 კ., მუშები—80 კ. სულ 136 მან. და 80 კაპ.

შემოსავალი სულ თეატრის და ბუფეტისა შედგა 724 მან. 57 კ. გასავალი—378 მ. და 61 კ., დარჩა წმინდა შემოსავალი—345 მან. და 96 კ.

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ ქ. ძნელაძისას, ყველა სოლისტებს, რომლებმაც ხოროში და ორკესტრში მონაწილეობა მიიღეს, რედაქციებს, რომლებმაც განცხადება დაგვიბეჭდეს და იმათ, რომლებმაც ფული შემოსწირეს და საღამოს გამართვაში დაგვეხმარნენ და საღამოზედ მობრძანება ინებეს.

გამგე საღამოსი ელენე კონსტანტინეს ასული ჯინოვისა

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

**პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:**

9 ნოემბერი.

მიხეილ ვარდუაშვილისა, მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

არტემ თევზაძისა—მკვლეულობის ჩადენის განზრახვის ბრალი ედება.

იოსებ გაბაძიშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1653 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

16 ნოემბერი.

ჭიათურის ყოფილ სამრეწველო ბოქაულის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა, რომელსაც სამსახურში დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

საჩხერის ნაწილის ყოფილ ბოქაულის გაბრიელ ფიცხელაურისა, რომელსაც სამსახურში ჩადენილ დანაშაულობის ბრალი ედება.

დათა კუბეციასი, რომელსაც სასჯ. დებულების მე 1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

# განცხადებანი


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა სააფთიაქო მაღაზიებში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის საწყობ ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—8)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე